შ.პ.ს. „მშენებლობის პროექტების ექსპერტიზა“

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 16, ტელ: 337808, 387014, 389640, 371180, ფაქსი 385627, ელ.ფოსტა Info@Expertiza.ge

№ 201

„ 21 “ 09 2006 წ.

ც ნ ო ბ ა

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გუგა ჯოხონელიძე ირიცხება მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის სამმართველოს დამტკიცებულ ექსპერტთა სიაში 1995 წლიდან ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.

განვლილი პერიოდის განმავლობაში მან ჩაუტარა ექსპერტიზა მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტის პროექტის საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილს.

ცნობა ეძლევა ქ.თბილისის არქიტექტურულ დეპარტამენტში წარსადგენად.

დირექტორის პირველი მოადგილე ლ.მეძმარიაშვილი

Экспертиза Проектов Строительства"
Тбилиси, пр Важа-Пшавела 16
337808, 371118, 381180 факс (995 32) 385627
Info@expertiza.ge

LTD "Examination of Construction Designs"
380113 Tbilisi, Vadgha-Pshavela Av 16
Phone: 337808, 371118, 381180 Fax: (995 32) 385627
E-mail: Info@expertiza.ge

საექსპერტო დასკვნა

ქალაქ თბილისის დიდუბის რაიონის დიღმის მასივის V კვარტალში წიგნის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის მიმდებარე ინდ. მშენებლობა–ამხანაგობა "დიღმი–5„-სთვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგების შესახებ.

ქალაქ თბილისი ამხანაგობა „ახალშენი–2001" დავალებით ჩვენს მიერ 2003 წლის აგვისტოში ჩატარებულ იქნა ზემოაღნიშნულ სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევებზე წარმოდგენილი ანგარიშის ექსპერტიზა.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ჩატარებულ იქნა შპს ფირმა „აკადემშენის" მიერ, ინჟ. გეოლოგი ვ. ჯაფარიძე.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიში მოედნის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე ..... 34 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. უბნის ტოპოგეგმა ..... 1 გვ.
4. ცხრილი წყლის ქიმიურ ანალიზებზე ..... 1 გვ.
5. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები ..... 5 გვ.

საკვლევი მოედანი მდებარეობს დიღმის მასივის V კვარტალში. ტერიტორია შედარებით მჭიდროდ დასახლებულია, რამაც გაართულა მშენებარე სახლებზე გეოლოგიური მასალის მოკვლევა. ტერიტორია ვაკეა, მცირე დახრით მდინარე მტკვრის მიმართულებით. აბსოლუტური ნიშნულები იცვლება 418 მ-დან – 419 მ-მდე. მდინარე მტკვრიდან მოედანი დაშორებულია 100–150 მ-ით. მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად გაყვანილი იქნა 4 ჭაბურღილი, ოთხეული 12 მ სიგრძის. მათი საერთო სიგრძე შეადგენდა 98 მ-ს. ჭაბურღილებიდან აღებულ იქნა ნიმუშები მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად. შედეგები მოცემულია ცხრილის სახით. ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია გრუნტის სიმტკიცის მაჩვენებლებზე. ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად მოედანზე გამოყოფილი იქნა გეოლოგიურ ჭრილში გრუნტის შემდეგი ფენები:

ჯოხონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჯოხონელიძე გუგა ილიას ძე
მისამართი, ტელეფონის №, ფაქსი	ქ. თბილისი, კვკვლიძის ქ. №10, ბინა №25 ტელ.: 22-00-44
დაბადების თარიღი	ქ. თბილისი, 16.02.1928 წ.
განათლება	1950 წ. დავამთავრე საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელი ინჟინერი (დიპლომი); 1972 წ. დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟ. გეოლოგი (დიპლომი)
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წ. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი); 1975 წ. პროფესორი – საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი)
სამუშაო საქმიანობა და გამოცდილება	1958–1983 წწ. საქ. მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლ. და საინჟინრო გეოლოგიის ინსტ. დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წ. დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფუძე-საძირკვლების კათედრის გამგე
გამოქვეყნებული მეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნ. შრომა, მათ შორის მონოგრაფია – საქართველოს ლიოსისებური გრუნტები (1976 წ.). შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, რუსთავისა და ფოთის საინჟ. გეოლოგიურ პირობებზე. გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთან დაკავშირებული ობიექტების საინჟ. გეოლოგიურ პირობებზე.
მეცნიერო, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა	დაწერილი მაქვს ანგარიშები საქ. მინ. აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟ. გეოლოგიის ინსტიტუტში წარმოდგენილ რამდენიმე საგრანტო თემაზე. ისინი ეხება საინჟ. გეოლოგიის სხვადასხვა საკითხს. მასალები ინახება ინსტიტუტის არქივში.
უცხო ენების ცოდნა	ქართული – მშობლიური რუსული – კარგად ინგლისური – ლექსიკონის დახმარებით

გ. ჯოხონელიძე

ფენა 1 – ნაყარი (t_1Q_{IV});

ფენა 2 – ფენა-4-თიხნარი (d_pQ_{IV});

ფენა 3 და ფენა 5 (კენჭნარი);

ფენა 6 ძირითადი ქანები, არგილიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობა.

ანგარიშში განხილულია თითოეული ფენის დახასიათება, განსაკუთრებით შესწავლილია თიხნარების ფენა, რომელიც რეკომენდებულია კიდევაც მომავალი 12-სართულიანი შენობის ფუძე-გრუნტებად. თიხნარების სიმტკიცის მაჩვენებლების მნიშვნელობანი სტატიკური მეთოდით და მოცემულია მათი სიდიდეები.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან გრუნტის წყალი დაფიქსირებული იქნა 7 მეტრ სიღრმეზე. წყალი არ არის აგრესიული ბეტონის მიმართ.

დასკვნებში აღნიშნულია, რომ შენობის ფუძე-გრუნტებად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც თიხნარები, ისე ძირითადი ქანები – არგილიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობა.

ანგარიშის მიმართ გამოვთქვამთ შემდეგ შენიშვნებს:

1. ფუძე-გრუნტებად შეიძლება გამოყენებული იქნეს მესამე ფენაც – კენჭნარებიც;
2. სტატისტიკური ანგარიშის შედეგად C_1 და C_2 შორის განსხვავება მეტად მცირეა, ჩვენი ანგარიშით C_2=0,53 კგ/სმ^2, რაც უნდა შესწორდეს ანგარიშში.
3. დასკვნაში დამუშავების სიძნელის მიხედვით გრუნტების კატეგორიის საკითხის დადგენისას არგილიტები და ქვიშაქვები ერთ კატეგორიად არის გაერთიანებული. სჯობდა მათი კატეგორია ცალ-ცალკე ყოფილიყო განხილული.

დასკვნა

ანგარიში შესრულებულია პროფესიულ დონეზე და იგი შეიძლება დაედოს საფუძვლად პროექტს ჩვენს მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით.

სტუ-ს გრუნტების მექანიკისა და
ფუძე-საძირკვლების კათედრის გამგე,
ტექ. პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/